

სარგბიედი

სკორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 24 სექტემბერი 1993 № 16 (63) ფასი 145 კუპონი

ოლიმპიადა-2000:

მონტე-კარლოელ მოქიერებს დალხენილი დღეები დაუდგათ: ორშაბათიდან ყომარბაზობის მსოფლიო ცენტრში მსოფლიო სპორტის ბრძენი მამები 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლის ასარჩევად მოგროვდნენ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) 101-ე სესიის მონაწილეებს კუდში დასდევდა ფოტოკამერებით აღჭურვილი ცნობისმოყვარე მასა, მათი ყოველი ნაბიჯი რომ აღენუსხა.

სოკ-ის წევრ დიდ გუამებს მოცლა არა პქონდათ — ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი ქალაქების საპრეზენტაციო მასალები რამდენჯერმე უნდა განეხილათ. როგორც ავი ვნები ამბობდნენ, მსოფლიო სპორტის უგაულებიანესი მოღვაწეები არც მცირე ძღვენიას თუ ქრთამის აღებას თაკილობდნენ.

კანდიდატთა წარდგენამ ძალთა თავდაპირველი განლაგება, ცოტა არ იყოს, შეცვალა. სიდნეი თითქოს დალალო აშენდა კამპანიურობამ და მოტყდა. სამაგიეროდ, სოკ-ზე პეიქინმა მიიტანა იერიში, რისთვისაც, აქაოდ ადამიანის უფლებათა ხელყოფა კიდევ არ დაშაბრალონ, ციხიდან სასწრაფოდ გამოუშვა სამი მონინავე დისიდენტი.

გუშინ დილიდან არჩევნების წინ კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დილით მოენყო უკანასკნელი, ბლიც-პრეზენტაციები, რომლებშიც პოლიტიკის ვარსკვლავებმაც — ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრებმაც — ბატონებმა პოლ კიტინგმა და ჯონ მეიჯორმა და ქალბატონმა თანჯუ ჩილერმაც მიიღეს მონაწილეობა. მერე კი დაიწყო კენჭისყრა, რომლის პროცედურაზეც საგანგებოდ ღირს შეჩერება.


კენჭისყრაში 90 კაცს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ სოკ-ის პრეზიდენტმა, ხუან-ანტონიო სამარანჩამ არც ახლა უღალატა მის მიერვე შემოღებულ დაუნერვლ კანონს და ნეიტრალიტეტი დაიცვა. დარჩა 89 ხმა. კონკურსში გასამარჯვებლად ხმათა უმრავლესობის, ესე იგი 45 ხმის მოგროვება იყო საჭირო.

რაკილა ძნელი საფიქრებელი იყო, რომ პირველსავე ტურში გაირკვეოდა გამარჯვებული, ამიტომ მაქსიმუმ ოთხი ტურის გაპართვა დაიგეგმა. ოთხისა იმიტომ, რომ კანდიდატი ხუთი — ბერლინი, მანჩესტერი, პეკინი, სიდნეი და სტამბული იყო, თითოეული ტურის შემდეგ კი მაჩანჩალა ვარდებოდა. ასე მანამ უნდა გაგრძელებულიყო, სანამ რომელიმე კანდიდატი 45 ან მეტ ხმას მოაგროვებდა.


კენჭისყრა, რალა თქმა უნდა, ფარულად გაიმართა. ვინ ვის და როდის მისცა ხმა, რალა თქმა უნდა, სამარადისოდ უცნობი დარჩება.

ჩვენი დროით 22 საათსა და 15 წუთზე დადგა ამაღლებული მომენტი. გამოცხადდა, რომ 2000 წლის XXVII ოლიმპიადის მასპინძლად სოკმა აირჩია ქალაქი

სიდნეი



ხუან ანტონიო სამარანჩი



ოთხშაბათს სოკ-ის პრეზიდენტად მართხა ვადით აირჩიეს

72 წლისაა; წარმოშობით კატალინიელი, მაგრამ ესპანეთის მილიონობის მომხრე ახალგაზრდობაში, მძვინვარე ფრანკოს დროს — ფლანგისტი, მერე, ზომიერი რეჟიმის პირობებში — სოციალისტი ცბიერი დიპლომატი; ფრანკოსმდგომი ესპანეთის პირველი ელჩი ბრუნევისეულ სსრ კავშირში 1980 წლიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტი. გუშინინდელ არჩევნებზე მოცილე არ ყოლია ოლიმპიადებზე პროფესიონალების დამშვები და სპორტის გაკომერციულების მთავარი ხელმძღვანელი ევროპაში კარგი სპორტსმენი — გორგოლაჭბიანი პოკეის ჯერ მოთამაშე, მერე კი ეროვნული ფედერაციის თავკაცი.

3 ბიბა ნორაპიკე



კვლავ უმუშევარია

4 სასწაული თუ არ მოხდა



ნორვეგიას თავი ქუდში აქვს

5 ფიცხელი ბრძოლებია მოსალოდნელი



ჩანდიგარხსა და ბურლენგეში

5 ფალიანი და გმასალია

ახალი ქართველი „მამლუქები“?

8 კატარინა ვიტის

გენერალური რეპეტიცია ლილეჰამერის ოლიმპიადის წინ



იხვე „ლინაჟოს“ საქმის შესახებ უეფა-ს სააკვლასიო კომიტეი:

„ეს მსაჯუბის მოსყიდვის მსდელობა იყო“

იხილეთ მეორე გვერდი

თელორაკე — პრიზიორი

ბათუმელმა თენგიზ თელორაკემ (90 კგ) სტოკჰოლმში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იგი ერთადერთხელ დამარცხდა: ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ გერმანელ ბულმანთან. ამ წონაში ჩემპიონი გახდა ქართველი კოფილი, ამჟამად კი რუსი გოგი კოლუაშვილი. საქართველოს ნაკრებიდან ექვსეულში თელორაკის გარდა ვერავინ მოხვდა. შეგახსენებთ, რომ თელორაკემ წლეულს სტამბულში, ევროპის ჩემპიონატზეც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ოღონდ 100 კილოგრამამდე წონაში.

პრინსესაგაც ვერ უგველა

ლონდონში „ტაიმისი“ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მე-7 პარტიაში გარი კასპაროვმა ნიჯელ შორტს იმდენი თავსატეხი გაუჩინა, რომ პრეტენდენტი, მიუხედავად იმისა, რომ მას დარბაზში მჯდომი თვით პრინცესა დიანა ქომავლობა, 36-ე სვლაზე დაეხდებოდა. ანგარიშია 5,5:1,5.

პოლანდიაში, მე-9 პარტიაში იან ტიმანმა ძლიერად ითამაშა, მაგრამ ანატოლი კარპოვმა მინც მიადწია ყაიშს. მე-10 პარტიაში კი რუსმა დიდოსტატმა იმძღავრა — 6:4.

გაისონი ციხეში ღარიგა

პროფესიონალური კრივის მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მძიმეწონიანი მაიკ ტაისონი 1995 წლის ფებრვალამდე იყრუეუტებს ციხეში, სადაც წლი-ნახევრის წინ მასვე სილამაზის კონკურსის მონაწილე სანგი ქალიშვილის გაუპატიურებისა თუ გაუპატიურების მცდელობისთვის. ტაისონმა თავის დროზე სასამართლოს ვერ დაუტკიცა უცოდველობა. ვერც ოთხშაბათს ივარჯეს მოძალადის ვეჭი-ლებმა, რომლებმაც ინდიანას შტატის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, აქაო და უდანაშაულო კაცი ციხეში ვიხითო. მართლმსაჯულებამ ავე-ლაცია უარყო: ხუთიდან ორ-ორი მსაჯულმა მი-ემხრო და წინ აღუდგა სარჩელს, მეხუთემ კი თავი წეიკაჟა. რაკილა სარჩელმა ხმათა უმეტესობა ვერ მოიგო, უარყოფილ იქნა.

გრაჰკის ახალი ქონტრაქტი

დიდმა კანადელმა პოკეისტმა უეინ გრეცკიმ „ლოს-ანჯელეს კინგზთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი: სამი სეზონის განმავლობაში გრეცკი 25 მილიონ დოლარს მიიღებს. ამოდენა წლიური გასამრჯელო ჯერ არცერთ ჩრდილოამერიკელ სპორტსმენს არ ღირსებია.

32 წლის გრეცკი წინა სეზონის შემდეგ თითქოს პოკეისტის თავის მინებებას აპირებდა, ოცი დღის წინ კი, როგორც „საბრეილის“ მკითხველებმა უკვე იციან, განაცხადა: კიდევ ერთ წელიწადს მინც ვითამაშებო.

უფა-ს საპალატიო კომისია: „ეს მსაჯების მოსიდვის- მსჯელობა იყო“

უფა-ს გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს,
უფა-ს პრეს-მდივანს რუდოლფ როტენბულერს

პატივცემულო ბატონო!

მწვეს პატივი მოგესალმოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა სახელით და გადმოგვითხროთ კეთილი სურვილები. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გადამწყვეტიდან თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის გარიცხვას საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა და ამის, სხვა გარემოებებთან ერთად, განაპირობებს ინფორმაციის დეფიციტი. ვთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული რეალური დოკუმენტები.

ელგუჯა ბერიშვილი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, AIPS-ის წევრი

უფა-ს პასუხი არ დაუყოვნებია: ფაქტით მივიღეთ სააპელაციო კომისიის სხდომის
ოქმი, რომელსაც სრული სახით გთავაზობთ:

უფა-ს საპალატიო კომისია თავმჯდომარე: დოქტორი ლეონ შტრესლე (შვეიცარია)
წევრები:

- გუდმუნდერ პეტურსონი (ისლანდია)
- დოქტორი ჟოზეფ მიფსუდი (მალტა)
- ვილჰელმ ჰენესი (გერმანია)
- მარიანო დელოგო (იტალია)

საშეხვედრო კლუბი „დინამო“
ტიბილისი წარმომადგენელი:

- ს.კირიტიძე, კლუბის ადვოკატი
- მ.ჟორდანიანი, კლუბის პრეზიდენტი
- აგრაძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნახალკაცი.

კონტროლის და დისციპლინის
კომისია წარმომადგენელი:

- დოქტორი ალბერტო ბარბე, თავმჯდომარე, იტალია.

ბანდონილება:

უფა-ს კონტროლის და დისციპლინის კომისიის 1993 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით 1993 წლის 18 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ და ბელფასტის „ლინფილდს“ მატჩთან დაკავშირებით, ანუ თბილისის „დინამოს“ კლუბის გარიცხვა 1993-94 წწ. გათამაშებიდან და მომდევნო სეზონში მონაწილეობის აკრძალვა მსაჯების მოქრთამების მცდელობის გამო.

ტიბილისის „დინამოს“
წარმომადგენლის მოსპენის
შემდეგ:

კონტროლის და დისციპლინის კომისიის

სის პრეზიდენტის მოსპენის შემდეგ,
საპალატიო კომისია აღმასდგინდა:

1. უარყოფით იქნას თბილისის „დინამოს“ აპელაცია.
2. თბილისის „დინამომ“ უნდა გადაიხადოს პროცესის ხარჯი - 30 000 შვეიცარული ფრანკი.
3. აპელაციისთვის შეტანილი თანხა გამოკეტილია.
4. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა.

დასაბუთება:

სააპელაციო კომისიის სხდომამ დადასტურა კონტროლის და დისციპლინის კომისიის მიერ დადგენილი საქმის ვითარება ყველა არსებით პუნქტში. - 1993 წლის 18 აგვისტოს თბილისში გაიმართა ჩემპიონთა თასის შესარჩევი ეტაპის მატჩი „დინამოს“ და ბელფასტის „ლინფილდს“ შორის. კერძო საწარმოს მფლობელი შალვა (ბადრი) ნინუას თბილისის „დინამოსს“ დაკისრებული ჰქონდა ორგანიზაციული და ფინანსური საკითხების მოგვარება.

თამაშის დღეს, ოფიციალური სადილის შემდეგ დასალოებით 13 საათზე, მსაჯებმა დატოვეს რესტორანი, რათა თამაშისთვის მომზადებულიყვნენ. შალვა (ბადრი) ნინუამ მათ შესთავაზა საკუთარი მანქანით სასტუმროში მიყვანა, რომელიც 500-მდე მეტრში მდებარეობს. მანქანაში მან მსაჯებს ოთხი კონვერტი გადასცა, თანაც მიაჩვენა, რომ ეს კონვერტები მანქანაში არ უნდა გაეხსნათ. ეს მოთხოვნა მსაჯებმა არ შეასრულეს, გახსნეს კონვერტები. სამ კონვერტში 1000-1000 ამერიკული დოლარი იყო, ხოლო მთავარი მსაჯისთვის (ე. თუროლუ) განკუთვნილ კონვერტში - 2000 ამერიკული

დოლარი. მსაჯების მცდელობა, კონვერტები წყან დაუბრუნებინათ, უშედეგო აღმოჩნდა.

- დასალოებით ერთი საათის შემდეგ უფა-ს ოფიციალური დელეგატი კ. ფერტონენი სასტუმროში შეხვდა მსაჯებს, რომლებმაც დაუყოვნებლივ აცნობეს აღნიშნული ფაქტის შესახებ. ამ თემაზე თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკება არ შედგარა. - მსაჯების და უფა-ს ოფიციალური დელეგატის მტკიცებით დასტურდება, რომ შალვა (ბადრი) ნინუას მოქმედება მსაჯების მოსიდვის მცდელობაა. 5000 დოლარის გადაცემის მიზანი იყო მსაჯებზე ზეგავლენა და თბილისის „დინამოსის“ სარგებლობის მიღწევა.

„დინამომ“ არ დაეთანხმა ამ შეფასებას. რაც შეეხება უფა-ს 1993 წლის 10 აგვისტოს ფაქსს, ფაქტობრივად, მისი ერთადერთი არგუმენტი იყო თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია. ერთი შეხედვით, ფორმულირება გაუგებარია, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ უფა-ს რეკლამენტის მე-18 მუხლის მე-2 აბზაციით გათვალისწინებული პირობა ამ მატჩისთვის გამოაკლის არ წარმოადგენდა. მსაჯებისთვის დიდირო თანხის გადახდა არ შედიოდა მასპინძელი ფედერაციის კომპეტენციის მიქცევაში. 5000 ამერიკული დოლარი იყო არა ანაზღაურება, არამედ ქრთამი.

- სინამდვილეში შალვა (ბადრი) ნინუამ ჩაიდინა საკიცხილი, რომელიც უფა-ს წესების მე-2 მუხლს მიესადაგება. თავისი მოქმედებით ნინუამ მძიმე მდგომარეობაში ჩაყენა გუნდი, მისი საკიცხილი არ შეესაბამება სპორტულ პრინციპებს. ამის გამო, კონტროლის და დისციპლინის

კომისიის გადაწყვეტილებით ნინუას საშუალოდ აკრძალა უფა-სთან ურთიერთობა.

- უფა-ს სადისციპლინო წესების მე-3 მუხლის 1-ლი აბზაციის მიხედვით, ამ შეცდომისთვის პასუხისმგებელია კლუბი. ამასთანავე არა აქვს მნიშვნელობა, იყო თუ არა ნინუა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტის წევრი, ვინაიდან სწორედ მას ჰქონდა კლუბისგან დაგადასტურებული სარგანიზაცია და ფინანსური საკითხების მოგვარება.

- კომისიის, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის ზომას, ერთის მხრივ შედეგობრივად არ გამორჩენია ის გარემოება, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფა-ს ახალი წევრია და აქედან გამომდინარე, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ მრავალი სიმძლავრის გადაღწევა მოუწევს. მეორეს მხრივ, საქმე ეხება ქრთამის გადაცემის მცდელობას. ამ მოქმედებით უნდა აღიქვას საყოველთაოდ აღიარებული წესები, შეზღუდვის მსაჯის დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. ვინც ამ წესებს არღვევს, ის იხსნება შეჯიბრებიდან.

- ყოველივე ამის გათვალისწინებით, კონტროლის და დისციპლინის კომისიამ განსაზღვრა სასჯელის კონკრეტული ზომა (მუხლი 6, აბზაცი 1). - ხარჯების შესახებ გადაწყვეტილება ეყრდნობა 52-ე მუხლის 1-ელ აბზაცს, ასევე 52-ე მუხლს პროცესუალური ხარჯების შესახებ.

ხელს აწერენ: დოქტორი შტრესლე, ბ-ნი ჰენესი, ბ-ნი დელოგო, დოქტორი მიფსლე, ბ-ნი პეტურსონი.

ახალი ამბები ფეხბურთის ფედერაციიდან პრესკონფერენციას დაკავალდოთ...

ორიოდე დღეა, რაც ბატონი დავით კვინიკაძე სამსახურში გამოვიდა. მოგვხსენებთ, იგი ჯანმრთელობის გაუმჯობესების გამო რამდენიმე დღით არ იმყოფებოდა სამსახურში. ჩვენ დაუყოვნებლივ ვაპირებდით მასთან ინტერვიუს აღებას განმარტებული ფაქტისა და სხვა საკითხთა გარშემო. ბატონმა დავითმა თავაზიანად აცხადებდა, რომ რამდენიმე დღეში მოეწყობა ფედერაციის პრესკონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტები ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ ყველა მითთვის საინტერესო საკითხებზე. ამიტომ „დროებით თავს ვიკავებ ინტერვიუსაგან“. როგორც მკითხველთათვის ცნობილია, ჩვენი განუყოფელი ნაწილია ნომერში იგივე აზრი გამოთქვა ალექსანდრე ჩივაძემ.

ბალის „მზის“ ითაგავებას!

რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, რომელიც ფედერაციის გადაწყვეტილებით შეწყვეტილი იყო, იგი 24 სექტემბრის განახლდება პირველ ჯგუფში და 25 სექტემბრის მეორე ჯგუფში. კითხვაზე, თამაშებზე თუ არა მასში „ცხუმი“, „ამირანი“ და „მზიური“, სფფ საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა ინსტრუქტორმა ბადრი ქარაიშვილმა მოგვწვლილი ინფორმაცია, რომ „ცხუმი“ და „ამირანი“ თავიანთ ქალაქებში იმყოფებიან და სხვებთან ერთად მონაწილეობენ მათს თავდაცვაში. რაც შეეხება ბალის „მზიურს“, როგორც ყველა გუნდი, იგი 24 სექტემბრის ვუთაისში X ტურის მატჩს ითამაშებს „ტორპედოსთან“. რაც შეეხება მეთერთმეტე ტურის და თასის მეთექვსმეტე ტურის განმარტებით მატჩებს ზემოხსენებული გუნდების მონაწილეობით, იგი მთლიანად დამოკიდებულია საომარ მოქმედებაზე და მის შედეგებზე. ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ გაცნობებთ.

ფედერაციის შენობაში შევეწყარით პროდუქციის შეკრებას. როგორც სფფ-ს პროდუქციის თავმჯდომარე ბესო მჭედლიშვილმა გვითხრა, კრება ეძღვნებოდა აფხაზეთში ჩვენი მეომრებისადმი დახმარების საკითხს. სფფ-მ 10 მილიონის ღირებულების 200 ესპანური სეტიტარი გაარეგულა თანხა გამოუყო ჩვენი მეომრებს.

ელგუჯა ბერიშვილი

კოპენტარის მათი

გამარჯვებას ათასი ავტორი გამოუჩნდება ხოლმე, მარცხის ავტორებისა კი რა მოგასხენოთ.

როცა „დინამომ“ ევროტურნირში დაუშვეს, ამ საქმის „ავტორობას“ ბეგრი ჩემპიობადა.

როცა „დინამომ“ ევროტურნირიდან დაითხოვეს, „ავტორები“ უშალ გაუჩინარდნენ.

არ მინდა ქვიშისა და სირაქემებს ამბავი გავისხენო, მაგრამ რაღაც ამდაგვარი კი მოხდა.

ზემოთ პასუხისმგებლობის დეფიციტი ვახსენე. სადაც წესი და რიგია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ტვირთი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ (როგორც უფა-ს ნებრმა ორგანიზაცია) და თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ (როგორც უფა-ს ტურნირში მონაწილე კლუბმა) უნდა გაინაწილონ. დინამოელები თითქოს არ გაურბიან პასუხისმგებლობას, მაგრამ მათი სიტყვა და საქმე სცილდება ერთმანეთს. ფედერაცია ჯერჯერობით დუმს, თუმცა, როგორც ჩანს, ბოლომდე გაჩურჩხებს არ აპირებს. ამასობაში, კლუბსა და

ფედერაციის შორის სერიოზული კონფრონტაცია მნიშვნელოვანდება. დაპირისპირება უკვე იმდენად აშკარა და ხელშეხანებუი გახდა, რომ საბოლოო შედეგის პროგნოზირება არც ისე იოლია. შეიძლება საქმე ფედერაციის საჯარო წყრილობამდე მივიდეს. ყოველ შემთხვევაში, „დინამომ“ ყრილობის მოწვევის მომხრეა და ამის თაობაზე საჯაროდ ითქვა.

ერთიც სათქმელია: ამგვარი დაპირისპირების მიზეზი მხოლოდ დოლარებიანი კონვერტები არ გახლავთ. ასე რომ ვთქვათ, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა; მით უმეტეს, ბატონ შალვა (ბადრი) ნინუას თამაშობა დასალოებით უცდია. საქმე გაცილებით რთულად არის და თუ ყველაფერი თავისი სახელი არ დაერქვა, არც ერთი მხარე მოგებულა არ დარჩება იმიტომ, რომ ნადაგებს ქართული ფეხბურთი. სწორედ ჩვენი ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, ალბათ, ჯობდა „დინამოს“ ხელმძღვანელობა გადამდგარიყო, თუნდაც შემადგენლობა გადაეხადისებინა. ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. მე არ ვამბობ, რომ მერაბ ჟორდანიანი და მისი

კოლეგები აქამდე საქმეს ცუდად უძღვებოდნენ. არც იმას ვამტკიცებ, რომ „დინამოს“ მომავალზე სხვას უფრო მეტად შესტივია გული, მაგრამ ერთი-ორ დარწმუნებული ვარ: „ტაქტიკური“ ნაბიჯები თუ არ გადაიღება, უფა-სთან მომავალ ურთიერთობაში კლუბს სერიოზული პრობლემები ექნება. უფა უფროდ მოერიდება იმ ხალხთან საქმის დაჭერას, ვინც გუშინ ქრთამის მიცემის მცდელობაში ახლდა.

ეს ამბავი, ცხადია, ფედერაციაშიც უნდა გაითვალისწინოს. და ბოლოს: უფას, მისი კომისიის და მსაჯების ლანძღვა-გინება, დამერწმუნეთ, სახეიროს არაფერს მოგვითმანს. ჩხუბის შემდეგ მუსტების ქნევას აზრი არა აქვს და ამას ზოგიერთი ჩემი კოლეგის გასაგონადაც ვამბობ. ნუ დაგვაინფლდება, რომ უფამ გუშინ მიგვილო და ყველაფერი წინ არის.



პეროვა

გუშინდელ გამართულ ოთხი მატჩის შედეგს შორის ფინალისტი არ დაუსახლებია, თუმცა, ნორვეგიამ თითქმის გაიხილა ამერიკის საგზური

I ჯგუფი

სტორნეთი — იტალია 0:3

ტალინში რობერტო ბაჯომ მე-19 წუთზე გახსნა ანგარიში. შემდეგ რობერტო მანჩინი 59-ე წუთზე და ისევ ბაჯომ 73-ეზე მიიყვანეს საქმე ბოლომდე. ამ თამაშის შემდეგ რობერტო ბაჯოს იტალიის ნაკრებში 30 მატჩი აქვს ნათამაშები და 19 გოლი გატანილი. ჯგუფში დარჩენილ მატჩებში თუ მოულოდნელი არაფერი მოხდა, შეეცარია გავა ფინალში. მეორე საგზურის მფლობელი, ალბათ, 17 ნოემბერს იტალიას და პორტუგალიის შეხვედრაში გაიჩვენება.

შვეიცარია	8	5	3	0	19-5	13
იტალია	8	5	2	1	18-6	12
პორტუგალია	7	4	2	1	14-4	10
სლოვენია	8	3	3	2	11-10	9
მალტა	9	1	1	7	3-21	3
ესტონეთი	8	0	1	7	1-20	1

დარჩენილი მატჩები:

13.10	პორტუგალია — შვეიცარია	იტალია — სლოვენია
10.11	პორტუგალია — ესტონეთი	სლოვენია — ესტონეთი
17.11	შვეიცარია — მალტა	სლოვენია — იტალია
	იტალია — პორტუგალია	

II ჯგუფი
ნორვეგია — პოლონეთი 1:0
სან მარინო — პოლონეთი 0:7

თამაში ომს გავდა, მაგრამ ეს აღარ მენატრება — მთავარია მოვიგეთო — თქვა მატჩის შემდეგ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ოლსონმა. მატჩი მართლაც ომს წააგავდა. მეორე ტაიმის



„მეთ-თორის“ ავტორი ჯონი ბოსმანი

ბისთვის მსაჯმა მასპინძელთა შეკარგ ტორსტედი გააძევა, მალე მას პოლონელი რომან შევნიციც მიყვია. მატჩის ბოლოს ნორვეგიელთა დაცვამ, სადაც სამთვიანი ტრავმის შემდეგ ბრატსეტი დაბრუნდა, შეინარჩუნა ერთგოლიანი უპირატესობა. ამ თამაშის შემდეგ ნორვეგიას თითქმის განუადგილებელი აქვს ფინალური ტურნირის საგზური: მას ერთი ქულა და ჰე-ოფენსი, და შეიძლება, ისიც არ დასჭირდეს, პოლონელებს კი ამერიკაში გამგზავრების თეორიული შანსებია დარჩათ.

სან მარინომ იტალიის ქალაქ ბოლონიში მიიღო პოლონიის ნაკრები. დიკ ადვოკატმა ბოლო წუთს დამტკრებელი ჯოლპუსის ნაცვლად ისევ ბოსმანი გამოიძახა და მანაც არ დაავიწყდა პირველივე წუთზე გამოიჩინა თავი. პოლონელებს მინიმუმ ოთხი ბურთით უნდა მოეგოთ, რათა ბურთების სხვაობაში ინგლისელებს დაწვინდნენ. ეს ამოცანა მეორე ტაიმის მეექვსე წუთზე იყო შესრულებული (იონკი 22, 44; ფრანკ დე ბური 51). შემდეგ ისევ ბოსმანი ორჯერ (66, 77) და როხალდ კუმანმა საფერო პენალტით მე-80 წუთზე დაასამარეს საწყალი წმინდანები, რომელთაც სხვა „სიკეთესთან“ ერთად ერთი კაციც გაუძევა მსაჯმა. შეხვედრას არ დაესწრო ინგლისის მწვრთნელი ტეილორი, რომელმაც სანაცვლოდ ბოლონიში თანაშემწე მიავლინა.

ნორვეგია	8	6	2	0	21-3	14
პოლონეთი	8	4	3	1	24-8	11
ინგლისი	8	4	3	1	19-6	11
პოლონეთი	7	3	2	2	8-7	8
თურქეთი	8	1	1	6	7-17	3
სან მარინო	9	0	1	8	1-39	1

დარჩენილი მატჩები:

13.10	პოლონეთი — ინგლისი	პოლონეთი — ნორვეგია
27.10	თურქეთი — პოლონეთი	
10.11	თურქეთი — ნორვეგია	
16.11	სან მარინო — ინგლისი	
17.11	პოლონეთი — პოლონეთი	

III ჯგუფი
ალბანეთი — ესპანეთი 1:5

ესპანელთაგან „მეთ-თორის“ გააქეთა ხულიო სალინასმა (5, 31, 60), კიდევ ორი გოლი ტონიმ (19) და ლუის პერსმა (67) გაიტანეს. მასპინძელთა სოკოლ კუმანმა (40) მოახერხა ერთი გოლის გაქვითვა. მიუხედავად მოგებისა, ესპანეთს მინც ვერა აქვს საქმე ხეირიანად — ირლანდიაში წაგების შემთხვევაში ისინი ამერიკაში ველარ წავლენ.

ირლანდია	10	7	3	0	17-2	17
ესპანეთი	10	6	4	0	14-1	16
ალბანეთი	10	6	3	1	23-3	15
ნიდ. ირლანდია	10	5	2	3	13-11	12
ლიტვა	12	2	3	7	8-21	7
ლატვია	12	0	5	7	4-21	5
ალბანეთი	12	1	2	9	6-26	4

დარჩენილი მატჩები:

13.10	ირლანდია — ესპანეთი	
17.11	ნიდ. ირლანდია — ირლანდია	ესპანეთი — დანია

შოტლანდია

მეშვიდე ტურში პირველად გამარჯვებულად გაიმარჯვა დებიუტანტმა „რეით როვერსმა“ — სტუმრად, პარისონის გოლის წყალობით, „დანდისთან“ — 1:0. ასევე პირველი გამარჯვება მოიპოვა მეორე აუტსაიდერმა „პარტიკმა“. მან კარგი კოლექტიური თამაში აჩვენა და 37-ე წუთზე კრიკსის გატანილი გოლით ექვსი ტურის შემდეგ ერთბაშად დაეწყო დამარცხება „მოხერულს“ აჯობა. მეორედ ნააკო ჩემპიონმა „გლანზორიგინგსმა“, რომელსაც აბერდინში მასპინძლებმა ორი გოლი

გაუტანეს — 2:0 (შირერი, პრესლი). „სელტიკი“ შინ აგებდა „დანი იუნაიტედთან“, თუმცა ქულა მანც გადაარჩინა — 1:1. დანარჩენი ორი მატჩი სტუმრებმა მოიგეს: „პართი“ — „კილმარნოკი“ 0:1, „სენტ-ჯონსტონი“ — „პიტერინი“ 1:3.

პიტერინი (7)	7	3	3	1	9-5	9
მოხერული (9)	7	4	1	2	11-8	9
აბერდინი (2)	7	4	1	2	7-4	9
დანდი უინ (4)	7	2	5	0	7-5	9
სელტიკი (3)	7	2	4	1	9-6	8
კილმარნოკი (დე)	7	3	2	2	5-8	8
რეინჯერსი (1)	7	2	3	2	7-8	7
პართი (5)	7	3	1	3	5-6	7
ს. ჯონსტონი (6)	7	1	4	2	7-7	6
პარტიკი (8)	7	1	3	3	6-8	5
როვერსი (დე)	7	1	3	3	7-13	5
დანდი (10)	7	0	2	5	3-9	2

დანიის ჩემპიონ „კობენგენთან“ დიდი ანგარიშით (3:0) გამარჯვების შემდეგ ჩრდილო ირლანდიის „ლინფილდმა“ თავის ჩემპიონატშიც ასეთივე ანგარიშით მოიგო. ამჯერად მან სტუმრად „არდისი“ დაამარცხა. აი ასე მოხდა „დანიამოს“ მიერ დამარცხებულ გუნდს უფავს ცნობილი გადაწყვეტილება.

ესპანეთში ბევრი ელოდა, რომ სამ ტურში ორი დამარცხების შემდეგ მდრიდის „რეალის“ მწვრთნელი ბენიტო ფლორო დატოვებდა თავის პოსტს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კლუბის მმართველობის წევრებმა ერთმანედ გადაწყვიტეს „რეალის“ მწვრთნელად ფლორო დეტოვების. გუნდის კაპიტანთან მანოლო სანჩესთან და სხვა ფეხბურთელებთან შეხვედრის შემდეგ „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ მენდოსამ უურნალობეს გაუცხადა, რომ „ჩვენ მხარს ვუჭერთ ფლოროს და მისთვის არავითარი დრო არ მივცია, თუმცა ნათელია, რომ ნებისმიერ მწვრთნელს ბედი შედეგად დამოკიდებულია. მენდოსამ ისიც თქვა, რომ კლუბის მმართველობის სხდომაზე ბენიტო ფლოროს არავინ აკდრა რაიმე რჩევის მიცემა. „მე ვთვლი, რომ მსოფლიოში ყველაზე რვენი მწვრთნელსაც კი მეტი პატივი სტრატეგიას და ტექნიკას, ვიდრე კლუბის ყველაზე ჩინებულ ხელმძღვანელს“ — დასძინა „რეალის“ მამამ. ურნალობის შემთხვევაში გამოცხადდა, რომ ამჟამად კლუბი არ ამირებს ახალი ფეხბურთელების მოწვევას. ზევ „რეალი“ ჩემპიონატის მეოთხე ტურში „ოვიედოს“ მასპინძლობს.

ინგლისის ლიგის თასის ანუ კოკა-კოლას თასის გათამაშების პირველი ეტაპი ჩატარდა. „არსენალმა“ დამაჯერებლად მოუგო სტუმრად „პადერსფილდს“ 5:0. სამი გოლი იან რაიტმა გაიტანა. სამ წვეთში უმაღლესი დივიზიონის გუნდები დამარცხდნენ: პირველი დივიზიონის „ბრედფორდმა“ მოუგო „ნორვიჩ სიტის“ 2:1, „ბლექჰემი“ — „შეფილდ უნიტედს“ 3:0, „სტოკ სიტის“ კი 2:1 დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელსაც შეიდი (1) წამყვანი მოთამაშე (მთ შორის გიგზო, კანტონა, პალმერი, ინსი და კინი) აკლდა. თასის ეს ეტაპი ორარუნდინა და უმაღლესი დივიზიონის გუნდებს რვაწამის შანსი რჩება.

შოტლანდიის ლიგის თასზე კ უკვე ნახევარფინალის დრო მოვიდა. პირველ მატჩებში მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს: „ჰაილენდს“ 1:0, „პიტერინი“ 1:0.



რეალისი

როზეზით მოიგეს „პიტერინი“ დაამარცხა „დანი იუნაიტედი“ 1:0 (დარენ ჯექსონი, 10). „რეინჯერსმა“ კი — „სელტიკი“ იმავე ანგარიშით. ამ თამაშმა „პიტერინს“ პარტიკა უდიდესი ინტერესი გამოიწვია: „რეინჯერსის“ კუთვნილ სტადიონზე 18 ათასი მარტო „სელტიკის“ გულშემატკივარი მოვიდა. ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე გავიდა: „სელტიკის“ სჯარიმოში დიდი არეულობის შემდეგ გაუ-სტევენ-დოურანის კომპინაცია ჰიტორად დასრულდა. ამ დროს „რეინჯერსელები“ ათნი თამაშობდნენ — მეორე გაფრთხილების გამო მსაჯმა პოლანდეილი ჰუსტრა გააძევა.

პორტუგალიური

„სარბიელის“ ერთ-ერთ წინა ნომერში გაგაცნობთ იტალიის კლუბებში მოთამაშე უცხოელი ფეხბურთელები. მკითხველთა თხოვნით ვაკრძებლბთ სხვადასხვა ქვეყნებში მოთამაშე ლეგიონერთა სიას.

ლაპიონი

რაშიდ იეკინი (ნიგერია). „მარტიმო ფუნაალია“ მწვრთნელი ედინიუ (ბრაზილია). ვერტონი, აიტორი, ვილსონ გორტარო, ადემირი, კრისტინი, ედმონსონი, გუსტავო, შორე ანდრადე (ბრაზილია), პაულუ მაღეირა, ვალუ (ანგოლა). „პასუს დე შარპირა“: ჩიკო ოლივეირა, ქოელი, რიკარდუ, ელსინიუ, შოაო ბატისტა, კოზე მარია (ბრაზილია), ცუმუ მბელე (კონგო), ვლადო ბოზინოსკი (ავსტრალია), ემილ მუსიჩი (იუგოსლავია), იულიან სპასოვი (ბულგარეთი), რუდი ტინოშირი (ხორვატია). „პორტუს“: მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი (ხორვატია). ალოიზიო, კოზე კარლუში, პაულუ პერეირა (ბრაზილია), იონ ტიმოტე (რუმინეთი), ემილ კოსტადინოვი, პეტარ მიტარსკი (ბულგარეთი), ვინია, (სპილოს ძვლის ნაპირი). „ჰილ ვისინტა“. სასიოლი (ბრაზილია), ლუბოშკო დრულოვიჩი (სერბია), მაკპოლოკა მანგონგა (ზაირი). „საბეპირუსი“. სედომირ ჯინიჩი, სტეფან მილოვაიცი (სერბია), მირზა ლალიჩი (ბოსნია). „საორტინანი“ ბრაბა: კოზე რობერტო, ლაუ, ვანდერლეი (ბრაზილია), ბოსკო ანჩი, მლადენ ვაუოვლანი (ხორვატია). „საორტინანი“ ლისაბონი: მწვრთნელი ბობი როზონი (ინგლისი). ზარან ლემალიჩი (ჩერნოგორია), ვუი-ანჩი (იუგოსლავია), სტან ფალკსი (პოლონეთი), კრასიმირ ბალაკოვი, ივანო იორდანოვი (ბულგარეთი), სერგეი

მოყვა: მსოფლიო ფეხბურთის ჩემპიონატში თველმა გაერთიანებამ შეაჯერ ფედერაციის საქციელი და ისიც აღნიშნა, „რომ ერთხელაც ირწმუნა ფრანგული ფეხბურთის უმწიკლოება“. არადა, სულ ცოტა ხნის წინ დივა: საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მოკვეთიდაც კი დაიშურა და „მარსელი“ შერისხვის ვადა დაუდგინა. ფედერაცია ერთი პირობა ფეხს ითარედა იმ საბაბით, რომ სპორტულ სასჯელს სასამართლო მიეზახე ვინიცობაა გაღვლია არ მოეხდინა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ფიფა-ს მუქარას დაყაბულდა და დათქმულ ვადამდე ერთი დღით ადრე დასაჯა „მარსელი“. ეროვნულ ფედერაციაზე აღერ „მარსელს“ უფვა გაუსწორდა — იგი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან გააძევა. დაისაჯა სამი მოთამაშე — მოქრთამული „ვალანტინის“ წევრები კრისტოფ რომერი და ხორხე ბურუჩაგა და მარსელიელ ეან-ეკ ვიდელი, რომელიც ქრთამის ძღვეისას შუამავლობდა. დასაჯეს გუნდის მენეჯერი ეან-პიერ ბერნესი, რომელმაც მოსაქრთამი ფული გამოყო. სამაგიეროდ, ცხვირწინ ბუზიცი ვერ აუფრინეს კლუბისა და საფრანგეთის ლიგის პრეზიდენტს, პოლიტიკურ მოღვაწესა და მულტიმილიონერ ბერნარ ტაპის. ასეა თუ ისე, ყველა გერანჩი ყრჭერობით მხოლოდ დროებითია და სასამართლო მიეზის დასრულების კვილად შეიძლება შეიცვალოს.

სამხრეთი აზრიკის რესპუბლიკის ნაკრები 6 ოქტომბერს აშშ-ში თამაშება მექსიკის გუნდს. აფრიკელთა განცხადებით ეს მათთვის დიდი პატივი იქნება, რადგანაც აქამდე აფრიკის კარგი არასოდეს უთამაშნიაო. ან აბა როგორ ითამაშებდნენ, თუ ორი ათეული წელი მსოფლიო საფეხბურთო სამოდან გარიფული იყვნენ. პარაბზანის ხელისუფლება საფეხბურთო საქმეებში ერევა. მთავრობის აზრით, შინაური ფეხბურთი არასწორად იმართება, რის გამოც გაშორებიაო საჭიროა. ამ ბრალდების პასუხად ფეხბურთის ასოციაციამ ქვეყნის ჩემპიონატი შეწყვიტა. ახლა სიტყვა ფიფა-ზეა — თავისი წესდების თანახმად, კარეშე ძაღების თამაშში ჩარევისათვის პრაავი ფიფა-დან უნდა გაირიცხოს.



„პოვიშტას“ ნიგერიელი თავდასხმელი რიკი ოფობოკირი

შერბაკოვი (უკრაინა), ანდრეი იუსტოპოვი (პოლონეთი). „სენია პაპიირა“: მწვრთნელი პაულუ ერნესტო (ბრაზილია), ეელტონი, მარკო აურელიო, მილტონ მენდესი, ერემე, პედრო პოლუ, როდრიგუა, გუგა (ბრაზილია), გორან ზივანოვიჩი, დრავან გრავესა, იოვო ბოსანიში, დრავან ლემი(იუგოსლავია). „ვარალიშა“: პარბოსა, კარეკა (ბრაზილია), ბერნარდ ბარნიაკი (ბოსნია), მენდანე (ალგირი), ზოში (გვინეა-ბისაუ). „შარანსა“: მწვრთნელი პაკო ფორტესი (ესპანეთი), კოზე კარლუში, ლუისიუ, სტეფანი, მანე, პიტეკო (ბრაზილია), რადუანე ჰაირი, ალი ჰასანი (მარკო), მილონია ჯუეიჩი (სერბია).

ტოტოლოტო

საფიგურაო პროგნოზი

ტირაჟი № 29

2-3 ოქტომბერი

პარამეტრების ჩამოთვლა				
	შარშან	პროგნოზი		
პარამეტრების ჩამოთვლა				
1	შტუტგარტი - აინტრანტი	1:1, 2:2	3 4 3	1 X 2
2	დ. ღრეზდენი - კაიზერსლაუტერნი	1:3, 0:2	3 5 2	1 X
3	ბაიერნი - ჰამბურგი	4:0, 1:3	6 3 1	1
4	დუისბურგი - კიოლნი	-	4 4 2	1 X
5	შალკე - ვერდერი	0:0, 0:2	2 3 5	X 2
6	ვატენშაიდი - დორტმუნდი	1:3, 0:6	2 3 5	X 2
საზარანგით ჩამოთვლა				
7	კაენი - მონაკო	1:0, 4:2	2 4 4	X 2
8	ანჟერი - ლუ აერი	-	6 2 2	1
9	ლილი - მარსელი	2:0, 4:1	2 2 6	2
10	სტრასბური - ბორდო	1:1, 0:1	4 2 4	1 2
11	მონპელიე - სენტ-ეტიენი	1:0, 1:2	3 5 2	1 X

შემოსული ვარიანტების რაოდენობა 6012

შეესვა ბილეთების ჩამოთვლის ბოლო ვადა: თბილისში - ყოველი კვირის პირველ შაბათს, 17 საათამდე. ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში - აღმაშენებლის ქ. № 1, სპორტლოტის სამმართველოში, ყოველი კვირის პირველ შაბათს. 12 საათამდე. რუსთაველი - ყოველი კვირის ოთხშაბათს, 17 საათამდე. ცენტრალურ ფოსტაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:
თამაშში მონაწილე პირს მიზანია გამოცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (შტუტგარტი, ღრეზდენი, ბაიერნი). მატჩის განხილვა მითითებულია კოფიციენტით ფოკუსურად შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.
ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩებზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.
არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.
ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.
ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.
ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე. ერთი კვირის განმავლობაში.
ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ერთნაირი სტადიონის მჭიდვარ საღამოს. 13-დან 16 საათამდე.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:		1	X	2
25-26 სექტემბერი	ჩელსი - ლივერპული	2,0	2,0	2,6
	კოუნტი - ლილსი	1,8	2,0	3,1
	იფსვიჩი - ტოტენჰემი	2,6	2,0	2,0
	მიონსტერალაბაზი - შტუტგარტი	1,8	2,0	3,1
	დორტმუნდი - ბაიერნი	2,0	2,0	2,6
	კაიზერსლაუტერნი - ლევერკუზენი	2,0	2,0	2,6
	სევილია - ლა კორუნია	2,0	2,0	2,6
	რაიო ვალეკანო - ბილბაო	2,0	2,0	2,6
	ხისონი - ატლეტიკო	2,1	2,1	2,4
	კრემონეზე - მილანი	2,4	2,0	2,2
	კალდარი - ლაციო	1,9	2,0	2,8
	რეჯანა - ფოჯა	2,5	2,0	2,1
	რომა - ატლანტა	2,0	2,0	2,6
29 სექტემბერი	სამპდორია - პარმა	1,8	2,0	3,1
	ნაპოლი - უდინეზე	1,3	2,2	5,7
	ტორინო - ჯუვენტუსი	1,3	2,2	5,7
	კორე სიტი - გალათასარაი	2,3	2,0	2,3
	ლეკესი - რეინჯერსი	2,5	2,0	2,1
	ბარსელონა - დინამო (კ) 0:2	1,5	1,9	4,6
	აქ - მონაკო	2,1	2,0	2,5
	მაკაბი - ტორინო	2,6	2,0	2,0
	ბენიფიცა - კომიცი	1,3	2,2	5,7
	გას - ბენიფიცა	2,5	2,0	2,1
	ვიტესი - სორია	1,8	2,0	3,1
ატლეტიკო - პარისი	1,3	2,2	5,7	
ვალენსია - ნანტი	1,8	2,0	3,1	
ვინდორენი - კარლსრუე	1,8	2,0	3,1	
დანდი ოუნაიტედი - ბრონდბიუ	1,4	2,1	5,0	
რაიო (ბ) - ინტერი	2,6	2,0	2,0	
ლოკომოტივი - თურენტი	3,1	2,0	1,8	
ვლადივოსტოკი - დორტმუნდი	2,5	2,0	2,1	
ოსერსი - ტენერიფე	1,8	2,0	3,1	
შარტოპე - ანტვერპენი	1,8	2,0	3,1	
კალდარი - დინამო (ბ)	1,1	2,6	7,5	

29 სექტემბერი	კორე სიტი - გალათასარაი	2,3	2,0	2,3
	ლეკესი - რეინჯერსი	2,5	2,0	2,1
	ბარსელონა - დინამო (კ) 0:2	1,5	1,9	4,6
	აქ - მონაკო	2,1	2,0	2,5
	მაკაბი - ტორინო	2,6	2,0	2,0
	ბენიფიცა - კომიცი	1,3	2,2	5,7
	გას - ბენიფიცა	2,5	2,0	2,1
	ვიტესი - სორია	1,8	2,0	3,1
	ატლეტიკო - პარისი	1,3	2,2	5,7
	ვალენსია - ნანტი	1,8	2,0	3,1
	ვინდორენი - კარლსრუე	1,8	2,0	3,1
	დანდი ოუნაიტედი - ბრონდბიუ	1,4	2,1	5,0
	რაიო (ბ) - ინტერი	2,6	2,0	2,0
	ლოკომოტივი - თურენტი	3,1	2,0	1,8
	ვლადივოსტოკი - დორტმუნდი	2,5	2,0	2,1
	ოსერსი - ტენერიფე	1,8	2,0	3,1
	შარტოპე - ანტვერპენი	1,8	2,0	3,1
	კალდარი - დინამო (ბ)	1,1	2,6	7,5

ენის ტარის ვარიანტი: 22 სექტემბერი. ნორვეგია - პოლონეთი 1:0 (X)

პარამეტრი

მწველდოსნობა	პოლში	გეოგრაფიული მდებარეობა
მსოფლიოს ჩემპიონატი. 8-12 სექტემბერი. ანტალია, თურქეთი. პირადი პირველობა. ქალები: 1. იუნ პუ (კორეა), 2. ჯონ პუანი (კორეა), 3. იანა ტუნინცი (ვაზახეთი). ხათუნა ქვიციანიძე მე-19 ადგილი დაიკავა და თან საქართველოს რეკორდი დაამყარა - 104 ქულა. კაცები: 1. შო კიუნი (კორეა), 2. ხო კიუნი (კორეა), 3. სტანისლავ ზამროდსკი (უკრაინა). გუნდური პირველობის პრიზორები იხილეთ 17 სექტემბრის „სარბიელში“. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა 22-ე ადგილი დაიკავა საქართველოს რეკორდით - 3742 ქალების ნაკრები მე-17 ადგილზეა.	პარიზი. სენ-ნოლ-ლა-ვალეტის გოლფ-კლუბი. 16-19 IX. „ლორენის ტროფის“ გათამაშება. გზის ნორმა - 70 დარტყმა. პირველი პრიზი - 95 500 გირვანქა სტერლინგი პირველი ნრე (ხუთშაბათს); იუნ ჯუნგში (უელსი) - ნორმაზე 6-ით უკეთესი (64); მარკ ჯეიმზი (ინგლისი), მიგელ ანხელ ხიმენესი (ესპანეთი); 5(66); პიტერ ბეიკერი (ინგლისი) 4(66); ... ნიკ ფალო (ინგლისი) 1(69); ფრედ კაპლსი (აშშ) 0(70)...	(134); ფალო 4(136) ... მესამე ნრის შემდეგ (შაბათს) - 10(200) - 5(65); ფეპერტი 9(201) - 1(69); გილფორდი - 7(63); ვუნგში - 2(68); ტორენსი - 2(68); ხოსე რივერო (ესპანეთი); 8(202); ბარი ლენი, ჯეიმზი: 7(203);... ფალო 5(205) - 1(69)...
ავტორალი დასავლეთი ავსტრალია, პერთის შემოგარნი. 18-21 IX. „ავსტრალიის რალი“ - მსოფლიო პირველობის X სტადია	მეორე ნრის შემდეგ (პარასკევს) ჯეიმზი 9(131) - ამ ნრებში 4(66); დევიდ ფეპერტი (ირლანდია) 8(132) - 7(63) (8 „ჩიტუნია“); ბეიკერი, პიტერ მიტჩელი 7(133); ვუნგში, სემ ტორენსი (შოტლანდია) - 5(65) (6 „ჩიტუნია“); 6	მეოთხე ნრის შემდეგ (კვირას; საბოლოო მდგომარეობა): ვუნგში 13(267) - 5(65); ტორენსი 11(269); ჯეიმზი, ფეპერტი, ლენი: 10(270); ფალო - 4(66), კაპლსი: 9(271);... ველაფერი გადანდო ბოლო ნრის ბოლოსწინა, XVII ორმოზე აქამდე ვუნგში და ტორენსი თანაბრად მივიდნენ; მერე უულსელმა „ჩიტუნია“ გააბერა, შოტლანდიელს კი „მაჯალაჯუნა“ შემოთხა

საჯილდო

მეოთხე ვრის პასუხები

- (1) ჯესი რუენსმა და კარლ ლეისმა თითო ოლიმპიადზე მძლეონობის ერთსა და იმავე სახეობებში ოთხ-ოთხი „ოქრო“ მოიგეს. როდის? რომელ სახეობებში? - რუენსმა 1936 წელს, ლეისმა კი 1984 წელს გაიმარჯვეს 100 და 200 მეტრზე რბენაში, 4X100 მ ესტაფეტაში და სიგრძეზე ხტომაში
- (2) ფრეზურტში რით განსხვავდება გადამწყვეტი, მეხუთე ხელი წინათაგან? - მეხუთე ხელში ყოველი ჩაგდებული ან უხეიროდ მოკერიებული ბურთი და ყოველი შეცდომა ქულად ითვლება
- (3) რომელ საბჭოთა რესპუბლიკებს წარმოადგენდა ჩოგბურთული თამაშის ლეივის? - მზობიური ესტონეთს, უზბეკეთსა და საქართველოს
- (4) ვინ იყო ქალ მოკვარაკეთა შირის პირველი მსოფლიო ჩემპიონი? სად დაიბადა? ვისი სახელით ასპარეზობდა? რა ერისა იყო? - ჩენი ვრა მენიკი, რომელიც რუსეთში დაიბადა, ბრიტანეთის სახელით თამაშობდა
- (5) 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში რომელმა ქვეყანამ დაიკავა მეორე ადგილი? რამდენი „ოქრო“ მოიგო? ვინ მართავდა ამ ქვეყანას? რომელმა შესახვედრებში იასპარეზა პირველად? - ჩუქუჩეს ქვეყანამ რუმინეთთან 20 „ოქროს“ მოგებით მეორე ადგილი დაიკავა; პირველად ჩინეთმა იასპარეზა
- (6) საბჭოეთის ვაჟ კალათბურთელთა გუნდებიდან პირველმა ვინ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი? როდის? სულ რამდენჯერ გაიმარჯვა? ვინ წვრთნიდა გუნდს? - რიგის ასკ-მა პირველად 1958 წელს, სულ კი სამჯერ მოიგო თასი; გუნდს ალექსანდრე გომელსკი წვრთნიდა
- (7) რომელი სახეობები შედიან თანამედროვე ხუთბილიში? - დამნი თარიაკობა ერთ ჩხველტამდე; წილისყრით მიღებული ცხენით დაბრკოლებების გადალახვა; თავისუფალი სტილით ცურვა 300 მეტრზე; ნებისმიერი დამაბიით სროლა 25 მეტრით დაშორებულ ადამიანის სილუეტზე; ოთხკილომეტრიანი კროსი განკლებული სტარტით
- (8) რომელი ქვეყნის რომელ ფეხბურთელს უასპარეზო ხუთი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნის სტადიაზე? რომელ წლებში? რა ადგილზე თამაშობდა? - მესიკელი მესკო კარახალს; 1950-54-58-62-66 წლებში
- (9) ვინაა ერთსა და იმავე დროს საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი? - მერაბ მეტრეველი

„სარბიელში“ გამოქვეყნებული ნერილების ავტორებს ვთხოვთ, მოზრძანდნენ რედაქციაში კუთვნილი ჰონორარის მისაღებად

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

«ლომბარდი»

თბილისი, ფიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი

Commercial Bank

მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა“
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096,
369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი“

ჩვენი სპორტის ქორ-მართალი

საქართველოს სპორტის კომიტეტი წესად აქვთ მიღებული, სამშობლოთა გამართონ თათბირი, რომლის დროსაც კომიტეტის ხელმძღვანელობა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს ხვდება და მათთვის საჭირო საკითხებს იხილავს.

ბოლო ამგვარ შეხვედრაზე მრავალი საგულისხმო რამ ითქვა. თათბირი დაიწყო იმით, რომ კომიტეტმა ფედერაციებს წარუდგინა სარგოთა მორიგე, პირველი სექტემბრისული გაორმაგების შემდეგი ფსონები. კერძოდ აღნიშნა, რომ სპორტმენები ანაზღაურების და შესაბამისად ამერიიდან სუთ კატეგორიად დაიყოფიან. რაკილა რესპუბლიკის მთავრობა სპორტის დასაფინანსებლად ფულს ისევე ორ ფონდად — სტიპენდიისა და კვებისად ყოფს, კომიტეტი იმის შიშით, რომ რომელიმეს გამოუყვებლობის გამო სპორტს ფულს ჩამოართმევინ, იძულებულია მცირედი ეშმაკობა მოიხვედლოს და სპორტმენთა პირველსა და მეორე კატეგორიას, ანუ ათლეტთა ელიტას სტიპენდია აძლიოს, დანარჩენ სამს კი — კვების ფული.

გამოცხადდა სტიპენდიათა რაოდენობაც. კატეგორიის ინდექსის ზრდის კვალად იგი ასე მცირდება: 160, 100, 80, 60 და 40 ათასი. აღნიშნა ისიც, რომ სახელმწიფოს შემდგომი ორგანოების გადამწყვეტილებით სპორტის ოლიმპიური სხეობები კელავაც პრივილეგირებული დარჩებიან, რაც იმას მოასწავებს, რომ მსოფლიო ღონის ქართველ მოშპებს ან ბატულტზე მოხტუნავეს პირველი კატეგორიის სტიპენდია ალბათ ვერ ერგება.

კომიტეტმა ფედერაციებს მორიგი კარდ-ბანში მისცა და მოურნადა, სტიპენდია-კვება თეიანთ ათლეტთა შორის პერიოდულად, მაგალითად კვარტალურად გადაანაწილონ. კმაცოფაზე მყოფ სპორტმენთა რიცხვი, ფონდების სიმწირის გამო, 20 პროცენტით მცირდება, მაგრამ როგორც ზოგაერთი ფედერაციის, მაგალითად სპორტის ზამთრის სხეობებისა წარმომადგენელმა დაიჩივლა, მათ გამომწირვა მეტად შეუვოთ და ლამი-სა შევირდათა 50 პროცენტი დაურჩათ ულუკმაპროდ.

დანვსდა საქართველოში გასამართი შეჯიბრებისა და საერთონელი შეჯიბრებისას სარგო დღიური ულუფის ზომაც. ამერიიდან ცნონებული კვების ტალონის ექვივალენტი 3000 კუპონია. აქვე ითქვა, დსთ-ის ქვეყნებში ასპარეზობისას კვება მანეთებით ხომ არ უნდა გვერგოსო, რომ პასუხადაც გაირკვა, რომ კომიტეტმა მანეთები არაა მქონია და ვერც, ეწეება. რაც შეეხება სამგზავრო ხარჯებს, ისინი თურმე კელავაც უცხოური ვალუტით დაითვლება.

ცალკე გაირჩა მსაჯთა ანაზღაურების საკითხი. არა, მსაჯების პონორარებზე ბევრი არაფერი თქმულა, რაკილა მათი სისტემატური დაწესება ჩვენში ვერ კიდევ ჩანასახის სტადიაშია. რაკილა ბოლო გაორმაგების შემდეგ მსაჯთა ღლიური სარგო ოდენ 600 კუპონი გამოიღოდა, კომიტეტს სხვა რამ გამოსავალი რჩებოდა და მსაჯებიც მოასპარეზებდნენ გაუთანაბრა — პონორარად დღიური ულუფა დაუნიშნა.

გამოითქვა აზრი, ფულის აკუმულირება ხომ არ გვეცადაო მეანთათვის სტიპენდია-კვების ჩამორთმევის ხარჯზე, რაზეც კომიტეტის ხელმძღვანელებმა უპასუხეს, რომ ალბათ აჯობებს ფონდების სრულად გაღება, რაკილა ათლეტებს ძლიერ უჭერთო. ისე კი, ფედერაციის შინაური საქმეა, თავისი ფული ქვეშევრდომებს როგორ გაუნაწილოსო; თანაც, ახალი წლიდან თურმე ყო-

ველმა სპორტმენმა კონტრაქტურუნდა დაღოს კლებთან ან ფედერაციასთან.

ამის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ, კახი ასათიანმა დაძმნრეთ მეტად საყურადღებო სიხალე ამცნო: ბატონი კახი თურმე მოლაპარაკებია მეტად სერიოზულ ხალხს — ერთობ პრესტიჟულ შვედური ბანკების წარმომადგენლებს, რომლებიც მონინავე ქართველი ათლეტებისთვის გულუზე სპონსოროთა გამოხასყეს კისრულობენ. საქმეს რომ თავი დაედგას, საამისოდ სასწრაფოდ ყოფილა საჭირო ამ სპორტმენთა შეძლებისდაგვარად სრული და მიმზიდველი დოსიების შედგენა. როგორც აღნიშნა, ეს დოსიები ცალკე შერად წიგნაკად უნდა გამოიცეს სამოთხ უცხო ენაზე, რომელთაგან ერთი აუცილებლად გერმანული უნდა იყვისო. არადა, თათბირზე არ თქმულა, მაგრამ სპორტულ სამყაროში კი ბევრს კარვად მოეხსენება, რომ მსგავსი გეგმები ბარსელონის ოლიმპიადისთვისაც დასახეს — ჩვენი სპორტის ისტორიის აღბოში უნდა გამოვცათ! სულ ამოაო!

კომიტეტის თავმჯდომარის დამამედეგელ ინფორმაციის ერთი სალალობო ახალი ამბავიც მოყვა: თურმე ნუ იტყვიოთ, ხელისუფლებას კომიტეტისთვის მეგაფონების შოვნა უთხრეზია. რაში სჭირდებათო, დანამდევილებით ვერაგინ თქვა, ის კი ყველამ გაიხსენა, რომ რამდენიმე წინარე ხელისუფლება სპორტულ სამყაროს დაესხნა მეგაფონებს, მაგრამ მათი ადრუნება კი აღარ გახსენებია. აბა, სპორტის საჭიროება რა მოსატანია, როცა ამდენი მყვირალა პოლიტიკური პარტია გვყავდა და ახლაცა გვყავს!

აუდიტორიის განალისება, ეტყობა, იმის ნიშანი იყო, რომ თათბირის დღის წესრიგში „სხვადასხვას“ რიგი მოსულიყო. აღნიშნა, რომ ქართული სპორტის აძლეუანდელი საერთაშორისო მონაგარი 83 მედალი: 36 ოქრო, 20 ვერცხლი და 27 ბრინჯაო ყოფილა, რაც, ერთი შეხედვით, ურიგო შედეგი არ უნდა იყვის. მაგრამ საქმე ის ყოფილა, რომ თურმე 42 სპორტული ფედერაციიდან 30-ს დასაქვენნი ვერაფერი აქვს, დარჩენილი 12-დან კი ჯილდოთა ლომის წილი მკლავჭიდისაზე და სამბოსაზე მოდის, ამათ მედლებს კი საზოგადოებრივი აზრი ნაღდ მედლებად არ მიიჩნევს.

მერე საუბარი აფხაზეთში განახლებულ ომსაც შეეხო. საერთოდ არ თქმულა, საშინაო შეჯიბრებები შეწყდნენ ან გაგრძელდნენო. როგორც ჩანს, ეს საკითხი თითოეულმა ფედერაციამ თავად უნდა გადაწყვიტოს. რაც შეეხება ფონდისთვის დახმარებას, აღნიშნა, რომ ვეტერან სპორტმენებს ერთ დღში 30 მილიონი კუპონი შეუგრავებიათ. ითქვა ისიც, რომ სპორტის მუშაკთა მეცადინეობით თავის დროზე ორი ბატალიონიც შექმნილა, მათ სათანადო წვრთნაც გაუვლიათ, მაგრამ შემდეგ არც ფრონტზე გაუგზავნიათ და არც ქალაქში წესრიგის დასაცავად გამოუყვანიათ. არადა, ბატალიონები თურმე დასაქმებებს ითხოვენ!

ამის შემდეგ, ცოტა მოულოდნელად იუსტიციის სამინისტროს მიერ ფედერაციათა რეგისტრაციის საკითხი წამოტევიდა. ეს პროცესი, უფრო კი კამპანია, 1991 წელს დაიწყო და ხელისუფლების შეცვლის გამო, ეტყობა, ცოტა არ იყოს, კიდევც მიინაწავა. ახლა უფერად გაირკვა, რომ ალბინიზმის, ბადმინტონის, ბალახის პოკის, კეტურთის, ფარიკაობის, ძალსწიფის, ძიუდოსა და ხელბურთის ფედერაციებს აღიარების სიგელ-გუჯრები მთლად მონესტიგებული ვერ მქონიათ. ასე,

მაგალითად, ძიუდოსტებს თურმე ძველებურად ვეღარ ადგებათ ხაბულიანისდროინდელი რეგისტრაცია.

გაირკვა ისიც, რომ გაურკვეველი მიზნების გამო ხელისუფლება დაინტერესებულია სპორტის კომიტეტის, სპორტული ფედერაციებისა და სპორტული კლუბების სტრუქტურითაც. ამის გამო ყველას დაევალა, რომ კომიტეტს დაუხანებლიე მინაოლოს საჭირო ინფორმაცია.

თათბირს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ) დესპანიც ესწრებოდა. მას, ბუნებრივია, მოსთხოვეს ახსნა-განმარტება სეოკ-სა და ფედერაციებს შორის დასადები ხელშეკრულების გამო. როგორც გაირკვა, სპორტკომიტეტს მიაჩნია, რომ ამ ხელშეკრულების პროექტში ისეთი დებულებებიცაა შეტანილი, რომელთა მიღებაც მის კომიტეტში იმეოთ აშკარა ჩარევასა და ორ კომიტეტს — ოლიმპიურსა და სპორტისას შორის დაძირისძირებას მოასწავებს.

საკითხის გამო გაიმართა დინჯი კამათი, რომლის დროსაც ორივე მხარემ აღნიშნა, რომ პრობლემა უთუოდ გაუგებრობის ბრალია, თორემ კონფრონტაცია და ინტერვენცია არცერთ მხარეს უფიქრია. მოდევინი შეთანხმდნენ, რომ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ჯანო ბაგრატიონის ჩამოსვლის შემდეგ (ბატონი ჯანო იმეამად თბილისში არ იყო) იგი შეხვდება სეოკ-ის პრეზიდენტს, ნონა გაფრინდაშვილსა და გენერალურ მდივანს, ეშვარ ზენა-იშვილს და ორ კომიტეტს შორის ქართული სპორტის საკუთილდლო ზავი ჩამოყარდება. ისე კი თვალნათლივ ჩანდა, რომ სეოკ-ის მიერ შეთავაზებული პროექტი არც ფედერაციებს დასაფედომიათ ტყუამი და თუკი ორ პატრონს შორის ერთის არჩევას სთხოვდნენ, ისე მათს დღევანდელ მარჩენალს — სპორტკომიტეტს დაუჭერდნენ მხარს.

სტუმრის ბოლოს ქართული სპორტის გასაჭირის გამო ერთი-ორი საგულისხმო რაპეც ითქვა. კარვანაია, რაც სპორტის კომიტეტი მსაჯებისათვის ინგლისური ენის მსწავლებელი კურსების გახსნას ამირებს მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს თავი ვერ დაედა. გაირკვა ისიც, რომ ჩვენდა სავალალოდ ჩვენს ტრიუმფატორ მოკრევებსაც შესწინათ კაკაურიძე-ხაბელოვ-კოლუაშვილისეული ეშმაკური და თუკი თათბირზე ნათქვამს ვირწმუნებთ, მალე რამდენიმე აქილ ქუროდლუსაც მივთვლით. ამის პასუხად ითქვა, რომ არაკაციები თავიანთ ბუნებას ბოლოსდაბოლოს გამოაჩენენ სოლემო!

განისილეს მოკრევთა კიდევ ერთი გასაჭირიც: მართალია, თითქმის სულ სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის ზურგზე გადააიარა სექტემბრის დამდეგს საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონთა ახალი, 14-ტონიანი პარტიის გერმანიიდან ჩამოტანამ, მაგრამ როგორც ირკვევა, ამით სპორტმა ვერა იხიარა რა: ქაპეკ მოკრევთა ეროვნული ნაკრები ვერპობის ჩემპიონატზე გასაგზავნი, ბანკში კი ფულის ნიშნები არა აქვთ.

აბა როგორ ვწნებთ, თუ უკვე მერამდენედ გულუხვად და უშურველად გაუც-გამოუციათ მსხვილ-მსხვილი სესხები, „კეკასიის ბირჟის“ შენობის წინ კი, ვალუტის შვე ბაზარზე, სპორტმენებისათვისა და სხვა ჩვეულებრივ მოკედათათვის მონყალების ბადალ ჯამაგირად მისაცემი კუპონები იქაურებს ყუთებით უდგათ და ჩარჩოვენ!

აი, სულ ესაა, რაც ქართული სპორტის მოჭირნახულეთა უკანასკნელ შეკრებაზე საჯაროდ ითქვა. უეტველად, უთქმელიც ბევრი დარჩებოდა.

რეზო ნემსაძე

აიკილო:

აღმოსავლური ორთაბრძოლებიდან აიკილო ერთადერთია, რომელიც არცერთი თავდასხმის ილეთი არ არის. მისი დამარსებელი მორიკი უესიბა ამბობს, რომ „ვინც შეისწავლის აიკილოს სამყაროსა და თავის თავს, მას შეუძლია თქვას: სამყარო — ეს მე ვარ. ამიტომ ის, ვინც დააპირებს ჩემზე თავდასხმას, დამარცხებისთვისაა განწირული უკვე მაშინ, რაწამსაც ეს გადწყვეტილება მიიღო, რადგან მან სამყაროს წარმონა უნდა დაარღვიოს“. ქართველ აიკიდოსტებს ამ სიტყვების გამოვრებაზედ საკმაოდ დიდებსა აქვთ გასავლული, მაგრამ საქართველოს აიკილოს ფედერაციის თავმჯდომარის ალექსი დოდაშვილის



ილეთის (ტიანო ბენეო) ასრულებს მირიან გვეგენა (მარცხნივ)

მელოდიასელოდ თავდასხვა!

შეუპოვარი მუშაობის შედეგად უკვე ერთ წელიწადში საქართველოში მოშალდა აიკილოს შვიდი ინსტრუქტორი. ისევე, როგორც სხვა აღმოსავლური ორთაბრძოლებში, აიკიდოსტს დაუბის სისტემა (პირველიდან ზეოთ — შეათმდე), პირველ დანამდე (შავი ქამარი) კი კითხა სისტემა (მეექვსედიან კვეოთ — პირველისკენ), მესამე კოუს მფლობელს ინსტრუქტორის წოდება და ზაკამის (სვეციანური შუკი ფეის კაბა-მარგალი) ტარების უფლება ენიჭება. წელს ილეთში სანკატ-პეტერბურგში „თეთრი. ლამეების“ ფესტივალსა და სემინარზე (რომელსაც მეექვსე დანის მფლობელი შედეი ულფეკანისი უძღვებოდა) შეიღმა ქართველმა აიკიდოსტმა: მირიან გვეგენამ, ზურაბ დაბრუნდაშვილმა, ზაზა ზვიადურმა, გურამ მარტიანი, მაღნაშ მეტრეველმა, ვია ამოევმა და ვალენტინა ჩეკუნოვა გამოსვიან ზაბარა მესამე კოუს და მონიკა ზაკამის ტარების უფლება.

ზაკამის გადკემა მეტად ამალეუებელი და საზეიმო მომენტია აიკიდოსტის ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდ პატივად ითვლება ოსტატის მიერ საზალხოდ საკუთარი, სახელობითი ზაკამის გადკემა. იგი ერაგვარ პასპორტს წარმოადგენს აიკიდოში და ოსტატი პასუს აგებს ლაურეატის შემდეგ საქმიანობაზე. საქართველოს აიკილოს ფედერაციის თავმჯდომარესა და ეროვნული ნაკრების მწვერთისელ ალექსი დოდაშვილს სახელობითი ზაკამა რუსული აიკილოს ერთ-ერთმა

ხმეტი მოქმედება და ათი-თორმეტი ათასი კობინაცია. მაგრამ ცოდნა ერთია და ზუსტად შესრულება მეორე. ჩვენი ნაკრების წევრები თითქმის ყველა კომბინაციას ვუვლით, ამიტომ ვარჯიშებზე ძირითად დროს მათ დახვეწას უწოდებთ.

— აიკილოს შესწავლის მსურველთა სად შეუძლიათ კონსულტაციები მიიღონ?

— უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სპორტდარბაზის უფროსი მასწავლებელთან ჩერმენ ჭიბისურთან, რომელიც დიდიან საღამომდე ყოველდღე სამსაზურშია.

— შემოთხენებელი კონტინენტის გარდა რამდენი ჩვეუმი გახსნება აიკილოში?

— ფაქტურად ჩვენ ამ დარბაზის იმედდ ვართ, ამიტომ მსურველთა მიღება შესლულად იქნება. ჩვენ არ გვიდა აიკილოში შემთხვევითი პირები მოვლდნენ, თანაც საკმაოდ რთული სისტემა შესასწავლი. ძირითადად სამი ჯგუფი იქნება. პირველში შევლენ ინსტრუქტორები და ეროვნული ნაკრების წევრები — 12-15 კაცი, მეორეში, ვინც ჩვენთან აქამდე ვარჯიშობდა და გაეყვლი ცოდნა გაანია — 50-60 კაცი, მესამე ჯგუფი კი „ახალ-წვეულებს“ დაეთობათ.

— აღმოსავლურ ორთაბრძოლაში ერთი და იმავე სახეობას სხვადასხვა სკოლები გაანია, აიკიდოში ამ მხრივ როგორაა საქმე?

— აიკიდოშიც ბევრი სკოლაა. მათგან მსოფლიოში სამია ყველაზე მეტად გავრცელებული. ჩვენთანაც სამი სკოლა — ტაკეუმი აიკი, რომელსაც პირადად მეგუქიმდგანვლობ, აიკი კიკაი (ზაზა ზვიადური) და იეამა რიუ (მირიან გვეგენა).


— უახლოეს მომავლაში რა გეგმები გაქვთ?

— ნოემბერში სანკატ-პეტერბურგში ტაკეუსი აიკის შინანი (სკილის მამათაგარი მკა), მეშვიდე დანის მფლობელი იაპონელი ტაკეუა ტამიტა ჩამოიანენოს სახელობის ფესტივალზე სემინარები ჩატაროს. ამ სემინარებს უთუოდ დაესწრება ჩვენი ნაკრებიც და მე პირადად პირველ დანზე (შავი ქამარი) საჯარო გამოცდებს. უფრო შორეული მიზნებია „ტაკეუა ტამიტა აკადემის“ ფილიალის გახსნა თბილისის უნივერსიტეტი, სადაც სწავლა მინიმუმ ოთხწლიანი იქნება და მისი კურსდამთავრებელი ინსტრუქტორის წოდებას, I დანსა და შვე ქამარს მიიღებს, თუ არა თქმულა, წარმატებით დაამთავრა. გარდა ამისა, ჩვენი ნაკრების წევრებს აქვთ პერსონალური მიწვევა შვედეთის ქალაქ კეტეორგში, იეამა რიუ სანდისაგა კლუბში (შინანი — ულფ ვანსი, VI დანი) და დანიში, „კოპენჰაგენის აიკილოს კლუბში“ (ტრობინ დუბურგი, IV დანი). იმედი მაქვს მომავალში აიკილოს აუცილებელ საგანდ შეიტანენ საქართველოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

...ზეოთ დამავიწყდა მეტეკა, რომ ვინაიდან აიკიდოში არ არის თავდასხმის ილეთები, მასში არც ჩემპიონატები ტარდება. აღმოსავლური ორთაბრძოლებიდან ერთადერთი — აიკიდოში ვერანოღეს ვერ გახდები ჩემპიონი. მასში მხოლოდ საჩვენებელი გამოცვლებია. დავინს გვირგვინისა და ჩემპიონის ოქროს მედლის ნაცვლად კი ზაკამიანი ოსტატი საყოველთაო აღიარების გარდა საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობას აღწევ.

მამუკა კპარაცხელი

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები




ალექსი დოდაშვილი



XIV სეზონი

26 სექტემბერი. პორტუგალიის „გრან-პრი“ ემტორილის ავტოდრომში წრის სიგრძე 4350 მ 71 წრე (308,85 კმ)



ვიტი საკუთარ თავს მეტისმეტად ემოციურად ამიანს უწოდებს და ნანობს, რომ ოდესმდე გულცივად მიატოვა სამოციქულო სარბიელი. — თუ ლილეპამერში მედლი ვერ მოვიპოვე, ამის გამო ისტერიკა არ მომივა. არა უშავს, ორი ოლიმპიური ოქროც შეყოფა — ამბობს იგი. მან კარგად უწყის, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი შოუბიზნესში მოღვაწეობდა, ფიგურული ციგურაობა განვიტარდა. აქ თავად ამბობს, რომ ახალგაზრდა სპორტსმენები მას ფიზიკურ მომზადებაში სჯიბნიანო. ექვსი-შვიდი სამყაროელი ხტომის შესრულება ვეტერანს აღარ



სამითური, იმითური

დღეს ინგლისში, ბელფორს გოლფ კლუბში იწყება „რაიდერს ჩემპიონატი“ მენჯი — ამერიკისა და ევროპის 12-12 უძლიერესი მგოლფის სამდღიანი საბატიო შეჯიბრება. კისრის ტრავმის გამო კარგა ხანს სათუთ იყო შახვედრაში ევროპელთა ლიდერის, გერმანელი ბერნარდ ლანგერის მონაწილეობა, მაგრამ სამზამთარის ცნობილი გახდა, რომ US Masters-ის წევრადელი ჩემპიონი ლანგერი მოკეთდა და ითამაშებს. ასე რომ, სამარტაჟოდ შეგულებული ჩრდილოეთირიანდიელ როიან რაფერტის ალბათ ალარ მოუწვევს თამაში. ამავე დროს, წინა კვირაში პარიზში გამართულ შეჯიბრებაში ევროპის გუნდის წევრმა, ესპანელმა ხოსე მარია ოლოსაბალამ ისე ცუდად იასპარეზა (ოთხჯის ნორმაზე 6 დარტკმით უარესი შედეგი აჩვენა), რომ გუნდის მენეჯერს ბერნარდ გალპერს სთხოვა, ბელფორში პირველსავე შეხვედრებში ნუ მათამაშებოთ.

მუშაინი პიტის დაბრუნება

ხვალ, ბერლინის საციგურაო კლუბის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, სამოციქულო სპორტს დაუბრუნდება კატარინა ვიტი. იგი გულშემატკივრების წინაშე თავი სულფალი პროგრამით წარსდგება. ამბობენ, რომ ამავე პროგრამით იგი ლილეპამერის ოლიმპიადაზე იასპარეზებსო. ერთი კვირის წინ კატარინა, გერმანიის გუნდის სხვა კანდიდატებთან ერთად, ქვეყნის ციგურაობის კავშირის ხელმძღვანელთა წინაშე უნდა წარმდგარიყო. ამ საკონტროლო გამოსვლებზე პრეს-ტელევიზიის დასწრება აკრძალული ჰქონდა. ფიგურული ციგურაობის „დედოფალს“ შეხედავდა განა სამშობლოში ვინმე, არ დაბრუნდვო, მაგრამ ერთი პირობა მინც

წაუყვენს. ვიტმა ლილეპამერისთვის მზადების ხარჯი თავად უნდა გაიღოს. — მე მიყვარს რისკი — გერმანული კურნალის Sport Bild-ის კორესპონდენტებს ამერიკაში, აიდაპოს შტატის ცნობილ კურორტ სან-ვილიში მოკალათებული კატარინა — სწორედ ამიტომაც გადაწყვიტე კვლავ მოვსინჯო საკუთარი ძალა. მინდა კვლავ ილმოგზნდე იმ მშვენიერ სამყაროში, სადაც წლები დავყავი. გადამეტებად წუწიამითელი, თუ ვიტყვი, რომ მე ოლიმპიური იდეალებისა მწამს. ბეგრს ამინებს სპორტის მეტისმეტი კომერციალიზაცია, მაგრამ გარწმუნებთ, სპორტსმენები ოლიმპიადაზე ფულის გულისთვის კი არა, ბრძოლის ფინისა და მაყურებლის გულისთვის მონაწილეობენ.

ძალიმს, ბოლოსდაბოლოს თერაპიების ხრიმ აღარ ვარ, ოცდაშვიდის ვარო. კატარინა ვიტი მულმივად შეჰყავთ მსოფლიოს ულიმაზეს ქალთა ისაში. — ეს სასიამოვნოა, მაგრამ მინც დიდ გადატარებებად მივიჩნევ — ამბობს კატარინა — მე სუპერმოდელი არა ვარ, სილამაზის კონკურსებში მონაწილეობა არ მიმიღია, ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ. თანაც, თითქოს სხვა საქმე არა აქვთ, გერმანული კურნალ-გაზეთები სულ იმას წერენ, ვიტი მოსუქდაო. თხუთმეტ წელს გადაცილებული ყველა სპორტსმენი ქალი იმავე პრობლემის წინაშე დგას. მე კი წამდარწმუნებ ამის მოსმენა სულაც არ მსიამოვნებს. სილა-

მაზე შტოლოდ სიგამბდრეში ხომ არ არის: მომხიბლობა, ინტელიგენტურობა, სანდოიანობა — ეს თვისებებიც მნიშვნელოვანია. ვიტის თქმით, მისი ოლიმპიადაზე დაბრუნება სარეკლამო სვლა არ არის. ასეთი რეკლამა მას არ სჭირდება. მას არც სპორტიდან წასვლის შემდეგ ეშინია უშუშეგრობის. იგი ამბობს, რომ ფილმ „კარმენის“ გადაღების დროს ბეგრამ რამ ისწავლა და მომავალში ტეღევიზიაში აპირებს მუშაობას. მას მრავალი სხვა იდეაც აქვს, რომლებსაც ლილეპამერის შემდეგ დაუბრუნებ?

3 დეკემბერს კრივის ისტორიაში უნიკალური შეჯიბრება მოეწყობა მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლოუსის ერთ-ერთ სასტუმროში. გაიმართება „შოუ, რომელსაც ორგანიზატორებმა „ხალხის არჩევანი“ უწოდეს. ამ დღეს დამსწრენი რინგზე იხილავენ 16 მოკრივეს მათ შორის შიმე წინაში სამსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტონი ტაპსს, მაიკლ დუქსსა და ჯიმმზ „ბოუნერაშერ“ მითის. თითოეული მონაწილე ერთი დღის მანძილზე რინგზე ოთხ-ოთხჯერ ავა და სამრუნიდან ორთაბრძოლებს გამართავს. გამარჯვებული მილიონ დოლარს მიიღებს. დაწესებულია წამახალისებელი ჩოლედიებიც — 20-20 ათასი მათთვის, ვინაც მეტოპეებს პირველსავე რაუნდში დაწარკაღმტენ. იქვე რინგზე ხელთათმანთ პირველად გამოვა 30 წლის ბრიტანელი ჯო სევიჯი („ვედლერი“), ვინც აქამდე შიშველი ხელეებით მუშაოკრივის ოსტატად იყო ცნობილი.

ჩიჩარდსი ნაპილა, «ქურსიკები» დაბრუნდნენ

დიდ ბრიტანეთში შემოდგომის კვალად საშინაო საკრიკტო სეზონიც იხურება. დასრულდა საგრანფოთა ჩემპიონატი, რომლის თამაშებიც ოთხ დღეს გრძელდება, და ერთდღიანი კრიკეტის საკვირაო ლიგა, რომლის მატჩებშიც გუნდები 40-40 წყებას აწვდიან. საკვირაო ლიგა სატესტო და საგრანფოთა კრიკეტის საბჭოს (TCCB) თავშესაქცევ ღონისძიებად აქვს ჩაფიქრებული და წელს დიდი მოგებაც ნახა — ლიგის თამაშების დღეებში საკრიკტო მოედნებზე 70 ათასი ტრელა-ტრულა ეკვრითი გასაღდა. წელს საკვირაო ლიგა მოიგო უფლის გუნდმა, რომელსაც რაკი საგრანფოდ მიიჩნევენ, გუმორგანი პქვია. გუმორგანმა ბოლო 24 წლის მანძილზე პირველად გაიმარჯვა საშინაო შეჯიბრებაში. გადამწყვეტ თამაშში მან კენტს ექვსი ბჭით აჯობა, რაც მას ნიშნავს, რომ გუმორგანმა ზოლზე შესვლისას კენტის მონაგარს რომ გადააჭარბა, იმ მომენტისათვის „ათს გამოვაკლოთ ექვსი უდრის ოთხს“, ე.ი. ოთხი ტაფელისანი ჰყავდა გაგდებული. უფლისეთა წარმატებაში ლომის ნილი დაიდო ევსტ-ინდოეთელმა ვივრიჩარდსმა (ფოტოზე), რომელიც კენტთან თამაშის შემდეგ გამოეთხოვა „დიდ“, ე.წ. პირველი კლასის კრიკეტს.



ზანგი კაიბანის ნაპილა

ინგლისის რაგბის ლიგის ჩემპიონატი, რომელსაც „სტურს ბიტერსი“ სპონსორობს, ოთხი ტური გაილა. ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი „ვიგანი“ კვირას სტუმრად მოულოდნელად დამარცხდა პირველი ჯგუფის ახალბედა „ვეურსტონ როუვერსთან“ 22:35, მესუთე ადგილზე და ორი ქლით ჩამორჩება ლიდერ „ბრედლენდ ნაიზერს“, რომელმაც „პეკეფილ ტრინიტი“ დაამარცხა 30:18. სამზამთარს გამოცხადდა, რომ „დიდის“ ვირს-კვლავა ელერი ჰენლიმ (სურათზე ზანგა) მიატოვა დიდი ბრიტანეთის ნაკრები, რომელიც ოქტომბერ-ნოემბერში შინ სამმატჩიან ტესტ-სერის გამართავს ტურნეზე მომავალ ახალი ზელანდიის „კევისთან“. ჰენლი ლიგის ისტორიაში უიღბლიანესი ბრიტანელი კაპიტანი იყო: პროფესიონალმა „ლომბემა“ მისი წინამძღოლობით გამართული 19 ტესტიდან 13 მოიგეს.

ბირთვის კპრა დოაინგის საუფლო?

სამზამთარს გამოქვეყნდა, რომ მძლეოსანთა წლებადელი მსოფლიო ჩემპიონანტის ბრინჯაოს პრიზიორი და იმედგეროულად ბარსელონის ოლიმპიადის გამარჯვებული, ამერიკელი ბირთვის მეკრელი მაიკლ სტალის დოინგის გამოყენებაში აზნოლს. სტალის ჩაფლავებია სინჯი, რომელიც შტუტგარტში აუღეს. რაკილა 24 წლის ამერიკელი მეორედ გამოიჭირეს დოინგზე, მისი ქვეყნის მძლეოსნური კანონმდებლობის თანახმად სამულდამო დისკვალიფიკაციას მიიღებს. სტალის ჩამოგრთმევა შტუტგარტში მოგებული ბრინჯაოს მედალიც. იგი მიეკუთვნება უქარიელ ალექსანდრ ბოგანს, რომელმაც მაშინ მეოთხე ადგილი დაიჭირა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ბირთვის მეკრელები ერთობ ეტანებიან დოინგს. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ბარსელონის ოლიმპიადის მთელს კვარცხლებეს — სტალს, ასევე ამერიკელ დერიგს და დსთ-ელ სეიოს ოლიმპიადამდე უქვე მოხბილი ჰქონდა სადობინო დისკვალიფიკაცია. სტალის მხილება შტუტგარტელ ცთომილთა რიცხვი ოთხამდე გაზარდა. მანამდე რუსი საშუალო მანძილზე მორბენალი ლილია ნურტლინოვა, ლიტველი ბადროს მტყორცნელი რომას უბარტასი და უზბეკი შუბოსანი დიმიტრი პოლუნინი ჩაჯარდნენ. რაც შეეხება მსოფლიოს სამჯის (1987, 1991, 1993) ჩემპიონს, შვეიცარიელ ვერნერ გიუნტორს, მან პირნათელმა დაასრულა კარიერა: კვირას შვეიცარიის საკლუბო ჩემპიონატში უქანასწენლად იასპარეზა და გამარჯვებულიც წაეიდა დიდი სპორტიდან.

ტრაველია დატრიალდა ავსტრალიის რალის დროს, რომელიც სამზამთარს დასავლეთ ავსტრალიის დედაქალაქ პერთში დასრულდა. შამბოს, მესამე სპეციალურ ეტაპზე გადაბრუნდა „სუბარუ“, რომელსაც ჰოსან ბორნი მართავდა. მძლოლი სავადმყოფოში მოათავსეს, სადაც სტაბილურ მდგომარეობაშია: რაც შეეხება 40 წლის შტურმანს, როჭერ ფრიტს, იგი ავარიის ადგილზევე გარდაიცვალა. ავსტრალიური ავარია 1986 წლის შემდეგ პირველია, რომელსაც მსხვერპლი მოყვა.

ღუბაში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ამ კვირაში დაიწყო სეკოპის შეჯიბრება, რომელშიც სამეფო ოჯახის წევრი, შიხი ახმედ მუხამედ ჰაშა აღმათუმიც ჩაება. უფლისწულმა პირველივე შეხვედრა წაყო მსოფლიოს მესუთე ჩოგანთან, ბრიტანელ პიტერ მარშალთან. პირველ ნომრად განთესილმა პაკისტანელმა განშირ ხანმა 30 უთში გააბაბურა ჰონკონგელი აბდულ ფაჰიმ ხანი.

ირლანდაში დასრულდა ეროვნული თამაშების — ყვანჯიო სათამაშო ბერლინისა და ვეპსრითოსის და რაგბის საშუალო არითმეტიკული — გედური ბურთაობის სეზონი. ორვეს ფინალი გამოართა ღუბლინის „კროუკ პარკზე“, სადაც ინგლისური თამაშების ჩატარება დღესაც სასტიკადაა აკრძალული. ბერლინში, 5 სექტემბერს კილკენიმ მოუგო გოლფის 2 გოლთა და 17 უთით 1 გოლისა და 15 ქულის წინააღმდეგ. ბურთაობაში კი ამ კვირას, დერომ სძლია კორკს — 1 გოლი და 14 ქულა 2 გოლისა და 8 ქულის წინააღმდეგ. ანგარიშების გასაგებად უნდა შეენიშნოთ, რომ ორვე თამაშში კარი რაგბისმავარია: ხარიხის ქვემოთ ბურთის გატანას გოლი ჰქვია და სადაც ფასობს, სარაგბო უიდალე გატანას კი ქულა ეწოდება. ერთი სტყვით, ბერლინი 23:18 დამთავრებულა, ბურთაობა კი 17:14. ახლა „კროუკ პარკზე“ ერთ ტრიბუნას დაანერვევენ და რამდენიმე წელში ათ მილიონ ეფლის ერთეულია) ღირებულ ნაგებობას წამოქმადენ.

სამითური, იმითური



სარბიელი საორტული გაზეთი გამოდის სამზამთარით და პარასკეობით 05დამსი 66441

რადაქციის მისამართი: თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29 იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29.

დაფუთვადალი: მუხლეული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ შოსხიპია სარედაქციო კოლეგია: ბიბ ახლანგი, ილია პაპუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადილე), ზურაბ შამკვილია, მამუკა ნიხლანგი (პასუხისმგებელი მდივანი)